



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -  
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
აკადემიური საბჭო

---

---

დადგენილება №98

2017 წლის 13 ოქტომბერი,  
ქ. ბათუმი

ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „ბათუმი 1917-1920 წლებში (პ. მასლოვის მოგონებების მიხედვით)“ პროგრამული ანგარიშის მოსმენის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის №36 და 2017 წლის 24 მაისის №35 დადგენილებებისა და ნუგზარ ზოსიძის მოხსენების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. მოწონებული იქნეს ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის „ბათუმი 1917-1920 წლებში (პ. მასლოვის მოგონებების მიხედვით)“ პროგრამული ანგარიში (დანართი 1).
2. წინამდებარე დადგენილება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ნ. წიკლაშვილს), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს და პროექტის ძირითად პერსონალს.
3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,  
რექტორი, ასოც. პროფესორი

მერაბ ხალვაში

**სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის პროგრამული ანგარიში  
თავფურცელი / ზოგადი ინფორმაცია**

1	საგრანტო ხელშეკრულება №	35
2	საანგარიშო პერიოდი №	01.06.2017 – 01.09.2017
3	ანგარიშის ტიპი <ul style="list-style-type: none"> <li>• შუალედური</li> <li>• საბოლოო</li> </ul>	შუალედური
4	ანგარიშის პერიოდულობა (ექვსთვიანი / წლიური / სხვ.)	ექვსთვიანი
5	საგრანტო პროექტის სახელწოდება:	„ბათუმი 1917-1920 წლებში (პ. მასლოვის მოგონებების მიხედვით)“
6	კონკურსი, რომლის ფარგლებშიც დაფინანსდა პროექტი: (კონკურსის სახელწოდება, წელი)	მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროექტები 2017 წელი
7	სამეცნიერო მიმართულება: ქვე-მიმართულება: (მიუთითეთ სიტყვიერად და კოდი კლასიფიკატორიდან):	ჰუმანიტარულ მეცნიერება; ისტორია
8	საგრანტო პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი: (სახელი, გვარი, ტელ. ელ. ფოსტა)	ნუგზარ ზოსიძე; ელ. ფოსტა - <a href="mailto:nug.zosidze@gmail.com">nug.zosidze@gmail.com</a> ; ტელ. - 595 35 45 55
9	პროექტის ხანგრძლივობა (თვეების რაოდენობა): პროექტის დაწყება (რიცხვი/თვე/წელი): პროექტის დასრულება (რიცხვი/თვე/წელი):	6 თვე; პროექტის დაწყება (რიცხვი/თვე/წელი): 01.06. 2017. პროექტის დასრულება (რიცხვი/თვე/წელი): 01.06. 2017.
10	პროექტის მთლიანი ბიუჯეტი:	15 550
11	საანგარიშო პერიოდისთვის ფონდიდან მიღებული გრანტიდან გაწეული ხარჯი:	9 050
12	ბიუჯეტის ნაშთი	6 500

საგრანტო პროექტის ხელმძღვანელის ხელმოწერა:

\_\_\_\_\_

ანგარიშის ჩაბარების თარიღი:

\_\_\_\_\_

ამოცანების შესრულების ანგარიში

№	საგრანტო ხელშეკრულებით დასახული ამოცანა	ამოცანის შესრულების მოკლე აღწერა	ამოცანის შესრულების შედეგი / თვლადი ინდიკატორი		ამოცანა შესრულებულია / არ არის შესრულებული (მიუთითეთ ერთ-ერთი; ამოცანების შეუსრულებლობის შემთხვევაში, განმარტეთ შეუსრულებლობის მიზეზები და მიუთითეთ შესრულების ვადები)
			ამოცანის შესრულების შედეგი / თვლადი ინდიკატორის დამადასტურებელი თანდართული მასალა	ამოცანის შესრულების შედეგი / თვლადი ინდიკატორის დამადასტურებელი მასალები, რომლებიც ინახება ორგანიზაციაში	
1.	საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და პერიოდული პრესის მასალების შესწავლა-დამუშავება;	მიმდინარე წლის აგვისტოს თვეში მივლინებით ვიყავი ქ. თბილისში სამეცნიერო და პუბლიცისტური ლიტერატურის გაცნობის მიზნით. ვიმუშავეთ ცენტრალურ საჯარო ბიბლიოთეკაში.	1. 198-1920 წლების პერიოდული პრესის მასალები. 2. გაზეთ „ნაშკრის“ ძიება.  3. სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა .	1. ინახება ჩემთან  2. დასრულდა უშედეგოდ.  3. დამუშავებული მასალა ინახება ჩვენთან	2. პრაქტიკულად ამ გაზეთის ვერცეტი ნომრის გამოვლინება ვერ შევძელით.
2.	პ. მასლოვის მოგონებების თარგმნა და მისი ელექტრონული ვერსიის შექმნა;	დღეისათვის მოგონებების თარგმანი დავასრულეთ და ამ ეტაპზე მიმდინარეობს ნათარგმნი მასალის სამეცნიერო რედაქტირება და ტექსტთან შეჯერება. მასში ჩართულია მკვლევართა ჯგუფის ყველა მონაწილე მაგისტრანტის ჩათვლით. თარგმნის პროცესი სპეციფიკურია იმ თვალსაზრისით, რომ ცალკეული ტერმინები და ფიზიკურ პირთა სახელები თვით ავტორს აქვს არასწორი ინტერპრეტაციით გადმოცემული.	ნათარგმნი მასალა პროექტში მონაწილე მკვლევართათვის არის ამ ეტაპზე ხელმისაწვდომი.	ინახება ჩვენთან.	

		ამიტომაც ნათარგმნი ტექსტის სამეცნიერო რედაქტირება გაგრძელდება გამოცემის ბოლომდე.			
3.	ახალი საარქივო მასალების გამოვლენა; ყოველივეს სისტემატიზაცია, ნაშრომის გამოსაცემად მომზადება და გამოცემა	ამ მიზნით კვლევა მიეხება წარმართა ბათუმისა და თბილისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში. ბათუმში ჩვენთვის საინტერესო მასალები გამოვლინდა ფონდ ი-67-ი; თბილისში დამუშავებული იქნა 5 ძირითადი ფონდი: ამიერკავკასიის სეიმის, ფონ. 1819; ამიერკავკასიის დროებითი მთავრობის, ფონ. 1818; რუსთა ეროვნული საბჭოს, ფონ. 1820; სდრ საგარეო საქმეთა სამინისტროს, ფონ. 1864 და საქართველოს საგანგებო რწმუნებულის ბათუმის ოლქში, ფონ. 1872	საარქივო მასალების მოწოდება თბილისის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივიდან დასრულდება მიმდინარე თვის ბოლოს, ქსეროასლების ელექტრონული ფორმატის სახით		

**შენიშვნა: პროგრამული მონიტორინგი ხორციელდება ამოცანის შესრულების ანგარიშის განხილვის საფუძველზე.**

**დამატებითი ინფორმაცია**

**საანგარიშო პერიოდში შესრულებული სამუშაოს და მიღებული შედეგის მოკლე რეზიუმე (არაუმეტეს 800 სიტყვისა)**

აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულია ბათუმში მოქმედი რუსული ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელის, კადეტ პრედადიან მასლოვის მოგონებები ბათუმსა და რეგიონში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით 1917–20 წლებში, რომელიც 300 ფურცელზე მეტს მოიცავს. თვითმხილველის მიერ დანახული რეალობა და გაკეთებული შეფასებები ფრიად საინტერესოა. იგი მნიშვნელოვანი პირველწყაროა იმდროინდელ მოვლენებში სწორად ორიენტირებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეულ საკითხთან მიმართებაში აშკარად იგრძნობა ავტორის მიკერძოებულობა. ჩვენი მიზანია პროექტის ფარგლებში შევისწავლოთ 1917–20 წლებში ბათუმში მიმდინარე მოვლენები, სოციალ-პოლიტიკური პროცესები ძირითადად პ. მასლოვის მოგონებების მიხედვით, ვთარგმნოთ აღნიშნული მასალა ქართულ ენაზე, დავურთოთ განმარტებები, კომენტარები და საძიებელი და მოვამზადოთ გამოსაცემად. გასაგებია, რომ ამ გზაზე მოგვიწევს არაერთი სამეცნიერო ლიტერატურის, თბილისისა და ბათუმის არქივებში დაცული სხვა მასალების გამოყენება-გამომზეურება, რაც დაგვეხმარება მეტ-ნაკლებად ზუსტი და ობიექტური სურათის აღდგენაში.

სამეცნიერო კვლევის პირველ ეტაპზე ორი ამოცანა დავისახეთ მიზნად-საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და პერიოდული პრესის მასალების შესწავლა და პ. მასლოვის მოგონებების პირველადი თარგმანი და მისი ელექტრონული ვერსიის შექმნა.

დღეისათვის მოგონებების თარგმანი დავასრულეთ და ამ ეტაპზე მიმდინარეობს ნათარგმნი მასალის სამეცნიერო რედაქტირება და ტექსტთან შეჯერება. მასში ჩართულია მკვლევართა ჯგუფის ყველა მონაწილე მაგისტრანტის ჩათვლით. თარგმნის პროცესი სპეციფიკურია იმ თვალსაზრისით, რომ ცალკეული ტერმინები და ფიზიკურ პირთა სახელები თვით ავტორს აქვს არასწორი ინტერპრეტაციით გადმოცემული. ამიტომაც ნათარგმნი ტექსტის სამეცნიერო რედაქტირება გაგრძელდება გამოცემის ბოლომდე.

ამოცანა 2 - საკითხის ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და პერიოდული პრესის მასალების შესწავლა-დამუშავება; ამოცანის მიზანს წარმოადგენდა იმ საკითხთა ირგვლივ არსებული სამეცნიერო და პუბლიცისტური ლიტერატურის შესწავლა და დამუშავება, რომელსაც პ. მასლოვი ეხება თავის მოგონებებში.

ესენია:

1. ბათუმის ოლქი პირველი მსოფლიო ომის წლებში;
2. ბათუმის ოლქის ოკუპაცია ოსმალთა მიერ;
3. ქართული მიწების (ბათუმისა და არდაჰანის ოლქები) საკითხის განხილვა საზავო მოლაპარაკებებსა და კონფერენციებზე.
4. ბათუმი და დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო ხელისუფლება;
5. რუსთა ეროვნული საბჭოს საქმიანობა 1919-1920 წლებში;
6. ყარსის რესპუბლიკის შექმნის მცდელობა და მასში მონაწილე ანტიქართული ძალები;
7. ამ საკითხების შესწავლის მიზნით მიმდინარე წლის 14-29 აგვისტოსა და 20 სექტემბრიდან -4 ოქტომბრის

ჩათვლით მივლინებით ვიმყოფებოდი ქ. თბილისში საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. ოქტომბრის ბოლოს ამ მიმართულებით სამუშაოებს დაასრულებს პროექტში მონაწილე მკვლევარი ასოც. პროფესორი რ. დიასამიძე.

ტექსტის თარგმანთან ერთად გავეცანი და კიდევ ერთხელ გადავამოწმეთ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა და გამოვავლინეთ რამოდენიმე მკვლევართათვის ნაკლებად ხელმისაწვდომი პუბლიცისტური სატატიები. რაც შეეხება საარქივო წყაროებს, შეიძლება ითქვას რომ თავი მოეყარა მნიშვნელოვან დოკუმენტურ მასალას, რომლის დამუშავება დაიწყება ინტენსიურად.

### 1.1. სირთულები, პროექტის განხორციელების პროცესში

№	სირთულები	სირთულების გამომწვევი მიზეზები	გადაწყვეტის გზები (რა ზომები იქნა მიღებული არსებული სირთულების გადასალახად)
1	რუსული ეროვნული საბჭოს გაზეთის „ნამ კრასი“ ნომრების მოძიება	საქართველოში ამ გაზეთის არცერთი ნომერი არაა შემორჩენილი	სამომავლოდ მისი მოძიება ბაქოსა(აზერბაიჯანი) და მოსკოვის-(რუსეთის ფედერაცია) ბიბლიოთეკებში
2	რუსთა ეროვნული საბჭოს საქმიანობის ამსახველი მასალების გამოვლენა	ბათუმისა და თბილისის ცენტრალურ არქივებიდან მასალათა მნიშვნელოვანი ნაწილი გასული საუკუნის 60-70- იან წლებში გატანილი იქნა რუსეთის ფედერაციის არქივებში.	პროექტი არ ითვალისწინებს ამ მიმართებით შემდგომ კვლევა ძიებას.
3	შესავალი ტექსტის დასრულება	გამოვლენილი საარქივო წყაროების დიდი ნაწილი რუსულენოვანია და მოითხოვს თარგმანს. ეს თავისთავად ხდება ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ტექსტის გამოსაცემად მომზადება 1 დეკემბრამდე ვერ დასრულდება	ეთხოვოს ბათუმის შ. რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს პრიდადიან მასლოვის მოგონებების გამოცემა თანდართული ვრცელი სამეცნიერო კვლევითი ნაშრომით ნაცვლად 1 დეკემბრისა განხორციელდეს მომავალი წლის 1 თებერვლიდან

*შენიშვნა: უნდა ჩაიწეროს სხვადასხვა ტიპის სირთულები. მაგ: სამეცნიერო მუშაობისას წარმოქმნილი სირთულები, ტექნიკური სირთულები და სხვა.*

საგრანტო პროექტის ხელმძღვანელის ხელმოწერა:

თარიღი: